



**სააკველიანო  
საჩივარი  
ადმინისტრაციულ საქმეზე**

თბილისის საქალაქო  
სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიას

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

*შტამპის ადგილი*

**აკველიანი:** *შენიშვნა-1*

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"	204952676	თბილისი, 0179, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა №27/29, ბინა 13
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) <i>შენიშვნა-2</i>
ალტერნატიული მისამართი <i>შენიშვნა-3</i>	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	
229 27 73	222 38 74	greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

**აკველიანის წარმომადგენელი:** *შენიშვნა-4*

ნინო გუჯარაიძე	01015010047	თბილისი, 0179, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა №27/29, ბინა 13
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	
229 27 73	599 90 25 20	222 38 74 ngujaraidze@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

**მოწინააღმდეგე მხარე:** *შენიშვნა-5*

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; 2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო		1. თბილისი, 014, გია გულუას ქუჩა №6; 2. თბილისი, 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი №150
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) <i>შენიშვნა-6</i>
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

## საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

--	--	--

სახელი, გვარი

სახლის ტელ.

მობილური

ელექტრონული ფოსტა

*შენიშვნა-8*

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: [forms@hcoj.gov.ge](mailto:forms@hcoj.gov.ge)  
 სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [www.hcoj.gov.ge](http://www.hcoj.gov.ge)

## სასამართლო დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

*შენიშვნა-10*

## ბასარივრები გადაწყვეტილება

*შენიშვნა-11*

სასამართლოს დასახელება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

განმხილველი მოსამართლე:

ილონა თოდუა

საქმის ნომერი:

3/2303-15

მიღების თარიღი:

2016 წლის 17 მარტი

## გადაწყვეტილებას ვასარივრებ:

სრულად

ნაწილობრივ

რომელ ნაწილში?

*შენიშვნა-12*

## სააკველიციო მოთხოვნა:

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება და სააკველიციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება სრულად.

*შენიშვნა-13*

## გასაჩივრებელი გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები

შენიშვნა-14    შენიშვნა-15

### 1. ფაქტობრივი უსწორობა

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების 4.1.5 პუნქტით სასამართლომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1610 მიმართვაზე დაყრდნობით არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება - ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" ზემოაღნიშნული მიმართვის თანახმად, 2014 წლის 30 დეკემბერს ეცნობა, რომ 2014 წლის 29 დეკემბერს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს წერილობით მიმართა შპს "რმჯ გოლდმა" და მოითხოვა მასზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53, №0010, ტიპი VI ABC) ლიცენზიის ნაწილის ვადის გაგრძელება, რაზედაც დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2015 წლის 8 იანვარს ჩაბარდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან 2015 წლის 6 იანვარს გამოგზავნილი სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 30 დეკემბრის წერილი №21/1610, რომლითაც ეცნობა, რომ შპს „არემჯი გოლდმა“ 2014 წლის 29 დეკემბერს წერილით მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ლიცენზიის გაგრძელება 2021 წლის 21 აპრილამდე დანართში მოცემულ X და Y კოორდინატებში არსებულ ფართობზე და არა ლიცენზიის ნაწილის ვადის გაგრძელება. საგულისხმოა, რომ გადაწყვეტილების 4.1.5 პუნქტის პირველი აბზაციით, 4.1.6, 4.1.7, 4.1.10 პუნქტებით სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება აღნიშნული ლიცენზიის და არა მისი ნაწილის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. ამდენად, სახეზეა სასამართლოს მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტობრივი გარემოებების დადგენის ფაქტი.

მტკიცებულება:

ა. გთხოვთ, იხილოთ; სარჩელი, მხარის ახსნა-განმარტება, ჩაბარების დოკუმენტი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანება.

### 2. ფაქტობრივი უსწორობა

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების 4.1.7 პუნქტის ბოლო აბზაციით სასამართლომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2014 წლის 30 დეკემბრის #2-03/9107 მიმართვაზე დაყრდნობით ზოგადად, განზრახ არასრულად მიუთითა ტექნიკური პირობების (დაკონკრეტების გარეშე) შეთანხმების დაცვის აუცილებლობის შესახებ, რომლის არსებობის პირობებშიც დეპარტამენტი არ იყო წინააღმდეგი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შეთანხმებაზე. თუმცა, გაუგებარია ზემოაღნიშნულ მიმართვაში დეპარტამენტის მიერ 6 პუნქტად ჩამოყალიბებული კონკრეტული ტექნიკური პირობების შეთანხმება სად და ვის მიერ მოხდა 2014 წლის 31 დეკემბრამდე (ერთ დღეში); კონკრეტულად რომელ დოკუმენტში აისახა ამ ტექნიკური პირობების შეთანხმების შესახებ, რომლის არარსებობაც უპირობოდ განაპირობებს გასაჩივრებელი - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანების ბათილად ცნობას.

მტკიცებულება:

გთხოვთ, იხილოთ: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2014 წლის 30 დეკემბრის მიმართვა #2-03/9107

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების 4.1.13 პუნქტით სასამართლომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2016 წლის 9 თებერვლის #905 მიმართვაზე

დაყრდნობით დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს "რმჯ კოლდზე" გაცემული ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010) საყდრისის საბადაოს ფარგლებში დამტკიცებული სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობი შეადგენდა 193,79 ჰა-ს, თუმცა ამავე მიმართებაზე და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანებაზე დაყრდნობით არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ კომპანიას ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010) მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2020 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის #2597 განკარგულებით განსაზღვრული კოორდინატების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობმა შეადგინა 9.0 ჰექტარი და სწორედ ამიტომ გაგრძელდა ლიცენზიის ნაწილის მოქმედების ვადა, რაც არასწორია და არ გამომდინარეობს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან.

## ახალი ფაქტობრივი გარემოებები

*შენიშვნა-16    შენიშვნა-17    შენიშვნა-18*

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

## გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-19

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში აღრე მონაწილეობდნენ;
- საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასება არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან და ცალმხრივად, ტენდენციურად არის შეფასებული. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება პრაქტიკულად შეუძლებელია.

## გასაჩივრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შენიშვნა-20 შენიშვნა-21

1. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის “ა”, “ბ”, “გ” და 394-ე მუხლის “ე” და “ვ” პრიმა ქვეპუნქტების მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

2. სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 249-ე მუხლი, რომლის თანახმად გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია შემოფარგლულია საქართველოს საკანონმდებლო ნორმების აღწერით, ისე რომ მასში ასახული არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული სამართლებრივი შეფასებები, აქედან გამომდინარე, გაუგებარია გადაწყვეტილებაში მითითებული ნორმების აღწერის მიზანი და დანიშნულება. ნორმების გულმოდგინედ გადმონერა არამცდარამც არ ნიშნავს ამ ნორმების სწორად გამოყენებას, მით



უფრო კონკრეტული სადავო სამართალურთიერთობის სამართლებრივ შეფასებასა და ანალიზს.

3. გადანყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების ამომწურავად შეფასებას. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების ამომწურავად და სრულყოფილად შეფასების შესახებ და არის სრულიად დაუსაბუთებელი მიგვაჩნია, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია აღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

4. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, 105-ე მუხლის მეორე ნაწილი, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მითითებული საპროცესო დარღვევების გამო ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება. სასამართლომ არ შეამოწმა და არ შეაფასა სარჩელში, ახსნა-განმარტებასა და საპაექრო სიტყვაში წარმოდგენილი საფუძვლიანი პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ასევე სწორად არ შეაფასა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. კერძოდ, სასამართლომ განზრახ, არასწორად დაადგინა და შეაფასა ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანებით კომპანიას ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი ABC) მოქმედების ვადა გაგრძელდა 2020 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებით განსაზღვრული

კოორდინატების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობმა შეადგინა 9 ჰექტარი, აქედან გამომდინარე, გაგრძელდა ლიცენზიის ნაწილის და არა ლიცენზიის მოქმედების ვადა. სასამართლომ არ მისცა შეფასება იმ გარემოებას, რომ 9 ჰექტარი არის საყდრისის საბადოს ფარგლებში დამტკიცებული სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობის 193,79 ჰა-ს შემადგენელი და რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანებით გაგრძელდა ლიცენზიის და არა მისი ნაწილის მოქმედების ვადა.

ამგვარად არასწორად დადგენა აღნიშნული თაქტობრივი გარემოებისა ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს, რომ განსახილველ სადავო ადმინისტრაციული სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად არ იქნეს გამოყენებული "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) "ორჰუსის" კონვენციის შესაბამისი ნორმები: ა) კონვენციის დანართი 1-ის მე-16 პუნქტი, რომლის რეგულაციის ფარგლებში ხვდება ადგილები, სადაც ღია წესით მოპოვების ადგილის ზედაპირი აღემატება 25 ჰექტარს ან მიწის ქვეშა მოპოვება, სადაც სამთო-სამუშაოების გავლენის ზონა აღემატება 150 ჰექტარს და კონვენციის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი, რომლის თანახმად, კონვენციის პირველ დანართში ჩამოთვლილ საქმიანობებზე (მათ შორის, წიაღისეულის მოპოვება - დანართის 16 პუნქტი) მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისას, სააგენტო ვალდებულია იხელმძღვანელოს მე-6 მუხლის 2-9 პუნქტების დებულებებით და უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების ეფექტური ჩართვა და მონაწილეობა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ერთ დღეში ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოება იმთავითვე გამოირიცხავს ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის სრულყოფილ მონაწილეობას და მაშასადამე, კონვენციის მითითებული ნორმით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას მით უფრო, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ არის დადგენილი და დადასტურებული, რომ ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის წერილი სააგენტოდან გამოეგზავნა 2015 წლის 6 იანვარს და ჩაბარდა 2015 წლის 8 იანვარს.

5. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლები და არ გამოითხოვა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები და ინფორმაცია. კერძოდ: საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე არ შეათვასა საქმიანობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ განცხადების წარდგენიდან ერთ დღეში რამდენად არის შესაძლებელი ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილად ჩატარება მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებლობით სავალდებულოა სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობა, სასამართლომ არ გამოიკვლია (მიუხედავად მოსარჩელის არაერთგზის მითითებისა) საქმეზე მნიშვნელოვანი თაქტობრივი გარემოება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2014 წლის 30 დეკემბრის №2-03/9107 მიმართვაში 6 პუნქტად ჩამოყალიბებული კონკრეტული ტექნიკური პირობების შეთანხმება სად და ვის მიერ მოხდა 2014 წლის 31 დეკემბრამდე (ერთ დღეში), კონკრეტულად რომელ დოკუმენტში აისახა ამ ტექნიკური პირობების შეთანხმების შესახებ, შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის "სხვა" ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა, რის გამოც



ბათილად უნდა იქნეს ცნობილი - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანება.

მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია საპროცესო ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით და უნდა გაუქმდეს.

## მტკიცებითი უზამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შენიშვნა-23

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.

1.

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

## სსკპ სსსის უზამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

**დიახ**  ვის? რომელი ენის მცოდნე?

**არა**

# საჩივრის ფასი

შენიშვნა-28

— არაქონებრივი ღარი

# სასელმწიფო ბაჟი

შენიშვნა-29

— 150 ლარი

## სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ <input type="checkbox"/>	არა <input checked="" type="checkbox"/>
რომელი ნორმა?		
მტკიცებულება:		
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ <input type="checkbox"/>	არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ <input type="checkbox"/>	არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ <input type="checkbox"/>	არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

შენიშვნა-30

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	<input type="checkbox"/>	მორიგების პირობები:
არა	<input checked="" type="checkbox"/>	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

შენიშვნა-31

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

20 წუთზე მეტი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან ერთ სხდომაში სამის განხილვა გონივრულია

შენიშვნა-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-35

## თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-36    შენიშვნა-37

დანართი 1: ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან- 2 (ორი) ფურცელი;

დანართი 2: მინდობილობა - 1 (ერთი) ფურცელი;

დანართი 3: სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 (ერთი) ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 4

## სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუკველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, საშუალო ადგილი და საშუალო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, საშუალო ადგილი და საშუალო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8.	მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9.	სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.	სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.		
12.	სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13.	სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14.	სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის*

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>		

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას"  
აღმასრულებელი დირექტორი  
ნინო გუჯარაიძე

18.04.2016 წ.

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი, გვარი

შეკვების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ სასამართლოს ჩააბაროთ კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააპელაციო საჩივარი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-38